წილობრივი შეთანხმება ახალგაზრდული ბარათით ახალგაზრდების გადაადგილების შესახებ

მშვიდობა
სოციალური ინტეგრაცია
კულტურათაშორისი დიალოგი
მონაწილეობა
ადამიანის უფლებები
დემოკრატიული მოქალაქეობა
კვლევა

ახალგაზრდობის
პოლიტიკის
განვითარება

:h
obility
through the
EUROPEAN YOUTH CARD

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

რა არის წილობრივი შეთანხმება?

წილობრივი შეთანხმება არის თანამშრომლობის განსაკუთრებული ფორმა ევროპის საბჭოში. ის საშუალებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, შეუერთდნენ სხვა წევრი სახელმწიფოს მხარდაჭერილ ამა თუ იმ აქტივობას ან თავი შეიკავონ მისგან. ნორმატიული თვალსაზრისით, წილობრივი შეთანხმება რიგითი აქტივობაა ორგანიზაციაში, მსგავსად სხვა პროგრამული აქტივობებისა. განსხვავება ისაა, რომ წილობრივ შეთანხმებას თავისი ბიუჯეტი და სამუშაო მეთოდები აქვს, რასაც მხოლოდ და მხოლოდ წილობრივი შეთანხმების მონაწილე მხარეები განსაზღვრავენ.

წილობრივი შეთანხმება ახალგაზრდული ბარათით ახალგაზრდების გადაადგილების შესახებ

ეს არის ღია წილობრივი შეთანხმება, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს - რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები ან ევროპის კულტურული კონვენციის ხელმომწერნი - აქვთ უფლება, მიუერთდნენ მას (დამატებით ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).

წილობრივი შეთანხმება არის ევროპის საბჭოს ახალგაზრდობის დეპარტამენტის ნაწილი და, ამდენად, ერთიანობაში მიჰყვება როგორც ახალგაზრდობის, ასევე ევროპის საბჭოს პრიორიტეტებსა და მიზნებს.

მიზნები:

1. ახალგაზრდული ბარათის სქემის შემუშავება

იგი შეიქმნა 1991 წელს და მისი წესდება ამბობს: „წილობრივი შეთანხმების მიზანი უნდა იყოს ახალგაზრდული ბარათის სქემის შექმნა, ახალგაზრდა ადამიანების საუკეთესო ინტერესებისათვის, განსაკუთრებით, ევროპულ დონეზე [....], რათა გაუადვილდეთ გადაადგილება, აგრეთვე, წვდომა მათი პიროვნული და კულტურული განვითარებისათვის აუცილებელ სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაზე“: ახალგაზრდული ბარათის მფლობელი შეიძლება გახდეს ნებისმიერი პირი 30 წლის ასაკამდე - არ არის აუცილებელი, ახალგაზრდა იყოს სტუდენტი ან ევროპული ქვეყნის რეზიდენტი.

ახალგაზრდული ბარათი ახალგაზრდა რეზიდენტებს ან მოგზაურებს აძლევს წვდომას რჩევებზე, ფასდაკლებებსა და სხვა სარგებელზე გადაადგილების, საცხოვრისის, კულტურის, ენის კურსების და სხვა მომსახურებებისა თუ პროდუქტების კუთხით, როგორც ელექტრონულად (კატეგორიის, ქალაქის ან ქვეყნის მიხედვით), ასევე უშუალოდ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიწოდებული სერვისების ხარისხის ზრდასა და ხარისხის გაზომვას, რათა მას გრძელვადიანი დადებითი გავლენა ჰქონდეს.

2. უკეთესი ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება წევრი მთავრობებისთვის და მათთან ერთად

მეორე მიზანია წევრი მთავრობების ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილება ახალგაზრდების გადაადგილებისა და ახალგაზრდული ბარათის გაცემის მიმართულებით. მუშაობის პროგრამა ისეა შემუშავებული, რომ ბიძგს აძლევს ცოდნის წარმოშობასა და მობილიზებას ამ საკითხებზე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და, ამგვარად, გვთავაზობს უკეთეს გამოსავლებს პოლიტიკის კუთხით (სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს, სიმპოზიუმებსა და სხვა). ამ ტიპის აქტივობებს მოჰყვება საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების გამოქვეყნება და რეკომენდაციები კონკრეტული მოქმედებების განსახორციელებლად წევრი სახელმწიფოების მიმართ და ევროპის ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის ადგილობრივი წევრი ორგანიზაციებისათვის.

სამუშაო პროგრამა ღიაა მონაწილეობისათვის. სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან წილობრივი შეთანხმების წევრები, მონაწილეობა საკუთარი ხარჯით შეუძლიათ. წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელთა მონაწილეობა კი სრულად ანაზღაურებულია.

ამ მიზნით დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრია გააქტიურებული: მთავრობები, ევროპული ინსტიტუციები, ბიზნესი, ექსპერტები, აკადემიური წრეები, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული ბარათის ადგილობრივი ორგანიზაციები, ასევე, თავად ახალგაზრდული ბარათების მფლობელები. ამდენად, წევრი სახელმწიფოები აქტიურად უწყობენ ხელს წილობრივი შეთანხმების განხორციელებას და, ამავდროულად, სარგებლობენ მისი ექსპერტიზით.

როგორ სრულდება:

ღონისძიებათა პროგრამას ზედამხედველობს საკოორდინაციო საბჭო, რომელიც 17 წევრისაგან შედგება:

- წილობრივი შეთანხმების წევრ სახელმწიფოთა 8 წარმომადგენელი, რომლებსაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ნიშნავს;
- ევროპის ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის 8 წევრი, რომლებსაც თავად ასოციაცია ნიშნავს;
- 1 წარმომადგენელი, რომელსაც ნიშნავს მრჩეველთა საბჭო ახალგაზრდობის საკითხებზე და მას ხმის უფლება არ აქვს.

წილობრივი შეთანხმების სამუშაო პროგრამა ხორციელდება ევროპის ახალგაზრდული ბარათის ასოციაციასთან (EYCA – European Youth Card Association) ერთად. ეს არაკომერციული ასოციაცია 1987 წელს დაარსდა. იგი წარმოადგენს ახალგაზრდული ბარათის 50-ზე მეტ ადგილობრივ ორგანიზაციას მთელი ევროპის მასშტაბით და აერთიანებს ბარათის 7 მლნ მფლობელზე მეტს. ასოციაციის ყველა წევრი მოწოდებულია იმისთვის, რომ ინდივიდუალურად თუ სხვა ადამიანებთან ერთად ხელი შეუწყოს ახალგაზრდების მობილობას, ჯანმრთელი ცხოვრების სტილს და აქტიურ მოქალაქეობას.

წილობრივ შეთანხმებასთან მიერთების პროცედურა:

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და ევროპის კულტურული კონვენციის მონაწილე მხარეებისათვის:

წევრ სახელმწიფოებს წილობრივ შეთანხმებასთან მიერთება შეუძლიათ ნებისმიერ მომენტში, მარტივად, გენერალური მდივნის მიმართ განაცხადით. ეს გულისხმობს ოფიციალური წერილის ან ვერბალური ნოტის გაგზავნას ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ან ევროპის საბჭოში მუდმივი წარმომადგენლობიდან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მისამართით.

სახელმწიფოებისათვის, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები და ევროპის კულტურული კონვენციის მხარეები:

ევროპის ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის და წილობრივი შეთანხმების საკოორდინაციო საბჭოს წინადადებით, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი ქვეყანა წილობრივ შეთანხმებასთან მიერთების მიზნით, სხვა არაწევრ სახელმწიფოსთან კონსულტაციების კვალად, რომელიც უკვე მონაწილეობს წილობრივ შეთანხმებაში.

ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო არის პოლიტიკური პანევროპული ორგანიზაცია, რომელიც 1949 წელს დაარსდა, მთელ ევროპაში საერთაშორისო თანამშრომლობის, მშვიდობის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ხელშესაწყობად. ორგანიზაცია საერთო პასუხებს უძებნის საყოველთაო გამოწვევებს ევროპაში, ადამიანის ცხოვრების ყველა არეალში, გარდა ეკონომიკური და სამხედრო სფეროებისა. ევროპის საბჭოში 46 წევრი სახელმწიფოა, ევროპის კულტურული კონვენცია კი 50 მონაწილე მხარეს აერთიანებს, რაც მთლიანობაში 700 მილიონ ევროპელს ითვლის.

ევროპის საბჭოს ახალგაზრდული სექტორი

ევროპის საბჭო მხარს უჭერს საზოგადოებაში ახალგაზრდების აქტიურ როლს მრავალგვარ ღონისძიებათა განხორციელების მეშვეობით, რაც მოიცავს მთავრობათაშორის თანამშრომლობასაც და ტრენინგებსა თუ საგანმანათლებლო საქმიანობასაც, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ახალგაზრდა ლიდერებისათვის და მათი მონაწილეობით. აღნიშნულ აქტივობათა ხორცშესასხმელად საკვანძო ინსტრუმენტებია ევროპული ახალგაზრდული ცენტრები სტრასბურგსა და ბუდაპეშტში, ევროპის ახალგაზრდული ფონდი და წილობრივი შეთანხმება ახალგაზრდული ბარათით ახალგაზრდების გადაადგილების შესახებ.

კონტაქტი:

ახალგაზრდობის დეპარტამენტი (Agora-ს შენობა)
ახალგაზრდული პოლიტიკის განყოფილება
წილობრივი შეთანხმება ახალგაზრდული ბარათით
ახალგაზრდების გადაადგილების შესახებ

F-67075 Strasbourg Cedex
Tel.:+33 (0)3 88 41 29 98

youthmobility@coe.int
https://www.coe.int/en/web/youth/youth-mobility

Prems 132624

KAT

www.coe.int

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

partial agreement on youth mobility through the EUROPEAN YOUTH CARD

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE